# სამართლებრივი ტენდენციები

## პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი ასპექტი სომხეთის პირველი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში

გრიგორ ბადირიანი*

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო და რამდენიმე თვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახით იარსება, სადაც ძალაუფლება ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის, ხოლო 1918 წლის 23 თებერვლიდან სეიმის ხელში იყო. ამიერკავკასიის ხელისუფლებამ საბჭოთა რუსეთი არ ცნო, ისევე, როგორც მის მიერ დადებული ბრესტის ხელშეკრულება სეპარატისტული ზავის შესახებ და გააგრძელა ომი თურქეთთან. თუმცა ამ საკითხში სომხების, ქართველებისა და აზერბაიჯანელების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობები გაჩნდა, რასაც სეიმის დაშლა და ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა მოჰყვა 1918 წლის 26 მაისს.

1918 წლის 28 მაისს სომხეთის ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.[1] ბედის ირონიით, სომხეთის დამოუკიდებლობით დაინტერესებული იყო თურქეთი, რაც, ერთი შეხედვით, გაუგებარია. რეალურად, თურქეთს, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმებით, მიტაცებული სომხური ტერიტორიების დაკანონება სურდა, რაც მისი მხრიდან ანექსიის ფაქტს სამართლებრივი თვალსაზრისით ხელშეუვალად აქცევდა. სწორედ ასე მოხდა 1918 წლის 4 ივნისს დადებული ბათუმის ხელშეკრულების შედეგად, რომლის პირობები ბრესტის ხელშეკრულების პირობებზე უარესი აღმოჩნდა.

სომხეთის რესპუბლიკამ ორ-ნახევარ წელიწადს იარსება – 1920 წლის 29 ნოემბრამდე. ამ სახელმწიფოს სომხეთის პირველ რესპუბლიკას უწოდებენ, საბჭოთა პერიოდის რესპუბლიკას – მეორეს, ხოლო პოსტსაბჭოურს – მესამეს. პირველ რესპუბლიკას დაშნაკების რესპუბლიკადაც მოიხსენიებენ, ვინაიდან მისი შექმნიდან არსებობის ბოლო დღეებამდე ხელისუფლება სომხეთის რევოლუციური კავშირის პარტიას (დაშნაკცუცუნს) ეკუთვნოდა.

პირველი რესპუბლიკის პერიოდი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი, ხოლო საბჭოთა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევები, უმეტესწილად, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე არის შესრულებული. განსაკუთრებით მძიმე ფერებშია დახატული ის რეალობა, რომელიც პიროვნების სტატუსის სამართლებრივ ასპექტებს ეხება.[2] საქმე, რა თქმა უნდა,

---

* სომხეთის ფრანგული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

[1] *ხატისიანი*, სომხეთის რესპუბლიკის წამოშობა და განვითარება, II გამოცემა, ბეირუთი, 1968, 84-85 (სომხურ ენაზე).

[2] *აღაიანი* (პასუხისმგებელი რედაქტორი), სომეხი ხალხის ისტორია, მე-7 ტ., სომხეთის სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, ერევანი, 1967 (სომხურ ენაზე); *ანანიკიანი*, დაშნაკცუცუნის პარტიის იდეურ-პოლიტიკური კრახი, აიასტანი, ერევანი, 1972; *ბადირიანი*, სომხეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა და სამართალი (1918-1920), სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, მოსკოვი, 1983; ასევე: *გალოიანი*, საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლა სომხეთში, მოსკოვი (გოსპოლიტიზდატ), 1957; *ბეგიანი*, სუვერენული სომხური სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება, ერევანი, სომხეთის სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1962.; *აღაიანი*, ოქტომბრის რევოლუცია და სომეხი ხალხის გათავისუფლება, ერევანი, სომხეთის სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1957; *კაზარიანი/ნერსესიანი*, პირველი მასობრივი რევოლუციური მოძრაობა (მაისის აჯანყება), ერევანი (არმგოსიზდატ), 1932 (სომხურ ენაზე).

ისტორიულ რეალობებს ეხება და არა მათ ფალსიფიცირებას. თავად ეს ისტორიული პერიოდი ისეთი იყო, რომ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მთავრობა, იგი, უბრალოდ, ვერ შეძლებდა ასე მოკლე ვადაში ომის შედეგების ლიკვიდირებას, ასეულობით ათას ლტოლვილზე ზრუნვას და მათთვის მინიმალური საარსებო პირობების შექმნას, საყოველთაო შიმშილისა და ეპიდემიების დაძლევას, სამართლებრივი სივრცის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების დაცვას და შექმნიდა პირობებს ამ სფეროს კანონმდებლობის ფუნქციონირებისათვის; აგრეთვე, ფართომასშტაბიან ბრძოლას შეიარაღებული დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც მთელ ქვეყანას იყვნენ მოდებული – და ყოველივე ეს ხდებოდა ქართველებსა და აზერბაიჯანელებთან მუდმივი კონფლიქტების, შიდაეროვნული შეტაკებების, ბოლშევიკური მოძრაობისა და ამბოხებების ფონზე.

ამ პერიოდზე პირველი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოვანეს კაჯაზნუნი წერს, რომ დასავლეთ სომხეთიდან (თურქეთი) გამოქცეული ათობით და ასობით ათასი ლტოლვილი, რომლებიც ხოცვა-ჟყლეტას გადაურჩნენ, აღმოსავლეთ სომხეთის რაიონებს მოაწყდა. მშიერი, შიშველი, ავადმყოფი, შეშინებული და დემორალიზებული ლტოლვილების ნაკადები ტალღებად აწყდებოდნენ სომხეთს და კიდით კიდემდე ავსებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. „ეს მშიერი მასები იმ ქვეყანას აწყდებოდნენ, რომელიც, თავად განადგურებული, უპუროდ იყო დარჩენილი. შედეგად, დაუძლურებული, მშიერი ლტოლვილები ერთ ადგილზე იყრიდნენ თავს. შირაქი და არარატის დაბლობი ერთიან საავადმყოფოდ და უპოვართა თავშესაფრად იქცა, სადაც სომხები ჩვენ თვალწინ, ჩვენს ზღურბლთან ათასობით იხოცებოდნენ შიმშილისა და ავადმყოფობებისაგან... და ჩვენ ვერაფერს ვაკეთებდით ამ ძვირფასი სიცოცხლეების გადასარჩენად...“[3]

ზუსტად ასევე აღწერენ ამ პერიოდს თავიანთ მოგონებებში პირველი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრები: ალექსანდრე ხატისიანი[4] და სიმონ ვრაციანი[5] (არსებობის ორ-ნახევარი წლის მანძილზე სომხეთის პირველ რესპუბლიკას ოთხი პრემიერ-მინისტრი ჰყავდა).

ასეთ პირობებში დაიწყო დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობა დაშნაკების მთავრობამ. პოლიტიკურ არენაზე დაშნაკცუცუნი გამოვიდა როგორც სოციალისტური მიმართულების დემოკრატიული პარტია და თავის პროგრამაში მრავალი პროგრესული იდეა ჩადო, მათ შორის:

1. სიტყვის, პრესის, გაერთიანებისა და გაფიცვის სრული თავისუფლება;

2. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ეკლესიის კერძო სფეროდ გამოცხადება;

3. ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, ეროვნული და რელიგიური გაერთიანების სრული თავისუფლება, კლასობრივი განსხვავების სრული ლიკვიდაცია/გაუქმება;

4. საყოველთაო, თანასწორუფლებიანი, პირდაპირი და ფარული არჩევნები, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

5. პიროვნებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოება, გადაადგილების თავისუფლება, საშვების ლიკვიდაცია;

6. საყოველთაო სავალდებულო და უფასო დაწყებითი განათლება სახელმწიფოს ხარჯზე, საერო სკოლა;

7. უფასო სასამართლო და ა.შ.

---

[3] *კაჯაზნუნი*, ამიერიდან სომხეთის რევოლუციურ ფედერაცია დაშნაკცუცუნს საქმე აღარაფერი აქვს, ტიფლისი, 1924., 16-17 (სომხურ ენაზე).

[4] *ხატისიანი*, სომხეთის რესპუბლიკის წარმოშობა და განვითარება, II გამოცემა, ბეირუთი, 1968 (სომხურ ენაზე).

[5] *ვრაციანი*, სომხეთის რესპუბლიკა, ერევანი, 1993 (სომხურ ენაზე), აღნიშნული ნაშრომი პირველად 1928 წელს გამოიცა პარიზში.

პროგრამა შეიცავდა საყურადღებო დებულებებს სოციალურ-ეკონომიკური სფეროდან:

1. მიწის ნაციონალიზაცია: მიწა უკვე აღარ არის კერძო საკუთრებისა და ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, სამეფო, თავადაზნაურობისა და რელიგიური ორგანიზაციების კუთვნილი მიწები ხალხის საკუთრებაში გადადის;

2. მიწების განკარგვისა და მისით სარგებლობის დეტალური წესების დადგენის უფლება გადაეცემა სოფლისა და ქალაქის კომუნებს;

3. გვალვის, სეტყვის, წყალდიდობისა და სხვა მსგავსი სტიქიური უბედურებებისგან სახელმწიფო დაზღვევა, მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა სახელმწიფოსა და დამქირავებლების ხარჯზე;

4. რვასაათიანი სამუშაო დღე როგორც ქალაქში, ისე სოფლად; შრომის დაცვა საკანონმდებლო დონეზე, მოწინავე სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად;

5. უფასო მედიცინა და ა.შ.[6]

დაშნაკთა პარტიამ თავისი სახელმწიფო პროგრამა ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებზე ააგო და ყველანაირად ცდილობდა მის ცხოვრებაში გატარებას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი საქმიანობის მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო მიეღწია გარკვეული, თუმცა მოკრძალებული, შედეგებისთვის. თავისი არსებობის ორ-ნახევარი წლის მანძილზე პირველი რესპუბლიკის პარლამენტმა 290 კანონი მიიღო. პარლამენტის ფორმირებამდე სომხეთში საკანონმდებლო ხელისუფლებას სომხეთის ეროვნული საბჭო ახორციელებდა. კანონებს მთავრობაც იღებდა და ვინაიდან სარგებლობდა მისთვის მინიჭებული საკანონმდებლო უფლებით,[7] მის მიერ მიღებული კანონების რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება საკანონმდებლო ფუნქციას 1919 წლის 27 აპრილიდან 1 აგვისტომდე, პარლამენტის გახსნის დღემდე, და 1920 წლის 5 მაისიდან თავისი არსებობის ბოლო დღეებამდე ახორციელებდა.[8]

საკანონმდებლო სივრცის ფორმირების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი სპეციალური კანონის მიღება იყო, რომლის ძალითაც სომხეთის ტერიტორიაზე დროებით ამოქმედდა მეფის რუსეთის, დროებითი მთავრობის, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის კანონები.[9] ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო, ვინაიდან ქვეყანას საკუთარი კანონმდებლობა არ ჰქონდა. თუმცა, ისტორიის ნებით, ეს კანონები ძალაში პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე დარჩა.

თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე სომხეთის პირველმა რესპუბლიკამ ვერ მოასწრო ძირითადი კანონის – კონსტიტუციის – მიღება, რის გამოც პიროვნების სამართლებრივი სტატუსის მარეგულირებელი ნორმები ჩვეულებრივ კანონებში აისახა. ამ კანონმდებლობამ ვერ შეძლო, სისტემატიზებული ხასიათი მიეღო, თუმცა, სისტემატიზაციის თვალსაზრისით, იგი შეიძლება, პირობითად შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

ა) ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ბ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;

გ) მართლმსაჯულების საკითხების შესახებ.

---

[6] იხ. სომხეთის რევოლუციური ფედერაციის დაშნაკცუცუნის (დაარსებულია 1907 წელს საერთო კრების მიერ) პროგრამა, ტიფლისი (არუნიანიას სტამბა), 1917 (სომხურ ენაზე).

[7] *გარნიკი*, კანონშემოქმედებითი საქმიანობის პრობლემები სომხეთის მესამე რესპუბლიკაში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის რეფერატი, 2002, 37 (სომხურ ენაზე).

[8] *ვარაგშიანი*, საკანონმდებლო ორგანოები სომხეთის პირველ რესპუბლიკაში (1918-1920წწ.) სამართალმცოდნეობის საკითხები, 1997, №1, 51-53 (სომხურ ენაზე).

[9] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 8-9 (სომხურ ენაზე).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სომხების პირველი რესპუბლიკა უმძიმეს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. არსებობის პირველივე დღეებიდან ქვეყანამ ორიენტაცია გამოკვეთილად სოციალური პოლიტიკის გატარებაზე აიღო, რაც მრავალ სამართლებრივ აქტში აისახა.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ათეულათასობით ლტოლვილისა და ობოლი ბავშვების პრობლემების გადაჭრა იყო. 1918 წლის 29 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი „ლტოლვილებზე ზრუნვის შესახებ".[10] ამ კანონის პირველი მუხლი ადგენდა მეტად მნიშვნელოვან პრინციპს: უსახსროდ დარჩენილი ლტოლვილები დახმარებას სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის სახით იღებდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ მუხლის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, სამუშაოთი ვერუზრუნველყოფის ან ლტოლვილის შრომისუუნარობის შემთხვევაში, მასზე გაიცემოდა შემწეობა. იმავე კანონის მეორე მუხლის თანახმად, სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა თავისუფალი სახელმწიფო, მიტოვებული ან ბეითალმანი (უპატრონო) მიწა გადაეცემოდა ლტოლვილებს დასამუშავებლად. ნაკვეთის ზომა განისაზღვრებოდა მუშახელის რაოდენობის მიხედვით.

ლტოლვილების სამუშაოთი უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ხარჯზე იქმნებოდა სხვადასხვა სახელოსნო თუ სამუშაო ადგილები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 1918 წლის 8 ოქტომბრის კანონი „უპოვარი ლტოლვილებისთვის საფეიქრო სახელოსნოების გახსნის შესახებ".[11] ამ კანონის პირველივე მუხლი ითვალისწინებდა უპოვარი ლტოლვილებისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, სახელმწიფო საფეიქრო სახელოსნოების გახსნას; მეორე მუხლის თანახმად, ამ მიზნით გამოიყოფოდა 6,7 მილიონი მანეთი და 85,7 ფუთი ბამბა.

იმავე წლის 11 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „ლტოლვილ ობლებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის შესახებ".[12] კანონის პირველი მუხლის თანახმად, ობოლ ბავშვებზე ზრუნვასა და მათ განათლებას მთლიანად სახელმწიფო იღებდა საკუთარ თავზე, ხოლო პირადი პასუხისმგებლობა ყოველივე ამაზე უზრუნველყოფის მინისტრს ეკისრებოდა. კანონზე თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში გაწერილი იყო ობლებისთვის საჭირო ხარჯები 1918 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებისთვის, რაც საერთო ჯამში 12,7 მილიონ მანეთს შეადგენდა. 1918 წლის 1-ლ ოქტომბერს მიღებული კიდევ ერთი კანონით შინაგან საქმეთა სამინისტროს ოქტომბრის თვეში გამოეყო 750 ათასი მანეთის ოდენობის კრედიტი ობლებზე საზრუნავად.[13]

1919 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა კიდევ ორი კანონი ობლებზე ზრუნვის შესახებ. ერთ-ერთი კანონით მზრუნველობისა და შრომის სამინისტროს გამოეყო კრედიტი 2,2 მილიონი მანეთის ოდენობით 2 670 ობლისთვის სახელოსნოების გახსნისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზების მიზნით;[14] მეორე კანონით კი უზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროს გამოეყო 64,9 მილიონი მანეთი 15 100 ობოლი ბავშვის სარჩენად.[15]

---

[10] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 6 (სომხურ ენაზე).
[11] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 7-8 (სომხურ ენაზე).
[12] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 8-9 (სომხურ ენაზე).
[13] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 7 (სომხურ ენაზე).
[14] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 142 (სომხურ ენაზე).
[15] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 132 (სომხურ ენაზე).

იმ პერიოდის სომხეთისთვის ეს ძალიან დიდი თანხები იყო. შედარებისთვის, აგრეთვე იმის დასანახავად, თუ როგორი ეკონომია უნდა გაეწია პირველი რესპუბლიკის მთავრობას, დავასახელებთ 1919 წლის კანონს „ჯარისკაცების შენახვის ხარჯების გაზრდის შესახებ". ამ კანონის პირველ მუხლში საუბარია იმაზე, რომ კვების პროდუქტების უკიდურესი სიძვირის გამო 1919 წლის 1-ლი იანვრიდან ჯარისკაცის შესანახი თანხის ოდენობა 10 მანეთით იზრდება.[16]

1919 წლის 3 მაისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი კანონი ლტოლვილების შესახებ. უზრუნველყოფის სამინისტროს გამოეყო 36,6 მილიონი მანეთის ოდენობის კრედიტი ყარსის ოლქიდან ლტოლვილების იმიგრაციის ორგანიზებისთვის.[17] გატარებული ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა ლტოლვილებისთვის მინიმალური საარსებო გარემოს შექმნა. თუნდაც მძიმე დანაკარგების ფასად, ისინი მაინც გადარჩნენ და სომხეთის სრულუფლებიან მოქალაქეებად იქცნენ.

თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პირველმა რესპუბლიკამ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი იმ ჩვენი თანამემამულეებისთვის დახმარების აღმოჩენა დაისახა მიზნად, რომლებმაც თავშესაფარი მეზობელ ქვეყნებში პოვეს. ამასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი სიმონ ვრაციანი წერდა: „სომხეთი იძულებული იყო, თავისი მწირი სახსრებიდან გარკვეული წილი ქვეყნის გარეთ მყოფი გაჭირვებულებისთვისაც გამოეყო". 1918 წლის 26 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტმა ნახევარი მილიონი მანეთი ბაქოში ლტოლვილი სომხებისთვის გამოყო; იმავე წლის 4 ნოემბერს კი ხმა მისცა საქართველოს სომხური ეროვნული საბჭოსთვის 5 მილიონი მანეთი ოდენობის ერთჯერადი დახმარების გამოყოფას; 3 დეკემბერს 300 ათასი მანეთის ოდენობის კრედიტი გამოყო ირანში ლტოლვილი სომხებისთვის. „ეს გაჭირვების ზღვაში წვეთი იყო, მაგრამ სომხეთის მაგიდაზეც არაფერი იყო, ნამცეცების გარდა – თავად არაფრის მქონე სომეხი ერი ამ არაფერს სხვას უნაწილებდა".[18]

ლტოლვილების პრობლემა სომხეთის პირველი რესპუბლიკისთვის ერთადერთი როდი იყო. სოციალური თვალსაზრისით, საზოგადოების ყველა ფენა განიცდიდა გაჭირვებას. მათი არსებობის მხარდამჭერ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მიწების ნაციონალიზაცია იქცა, რაც თავადაზნაურობის, საეკლესიო და მიტოვებულ მიწებს შეეხო. ნაციონალიზებული მიწები უმიწაწყლო გლეხებისთვის იყო განკუთვნილი. ყველას შეეძლო, მიეღო იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებასაც იგი პირადად, საკუთარი ოჯახის ძალებით, დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე შეძლებდა და რომელიც საშუალებას მისცემდა მას, დაეკმაყოფილებინა თავისი ოჯახის მოთხოვნილებები.

მიწების გადანაწილების პროცესი პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა. სომხეთი მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყანაა, ამიტომ ყველაფერი უნდა ეღონათ, რათა მიწა შეძლებისდაგვარად სწრაფად გადასცემოდა გლეხებს დასამუშავებლად. მაგალითად, 1918 წლის 11 ოქტომბერს მიღებული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის მიწების იჯარით გაცემის შესახებ" შემდეგს ითვალისწინებდა:

„შუამავალთა მიერ გლეხების ექსპლუატაციის აღკვეთის მიზნით სომხეთის საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი თვითმმართველობები თავიანთ სახნავ-სათეს და სათიბ მიწებს გადასცემენ იმ პირებს, ვისაც იგი უშუალოდ სჭირდება და ვინც საკუთარი ძალით დაამუშავებს მათ.

---

[16] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 27, ფურცელი 34 (სომხურ ენაზე).

[17] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 61, ფურცელი 17 (სომხურ ენაზე).

[18] *ვრაციანი*, სომხეთის რესპუბლიკა, ერევანი, 1993, (სომხურ ენაზე).

2. ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლევათ იმ ხელშეკრულებების დარღვევის უფლება, რომელთა ძალითაც სახნავ-სათესი მიწები და სათიბები ამ კანონის გამოქვეყნებამდე გაიცა იჯარით".[19]

მიწების ნაციონალიზაციის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად და მისი გლეხებისათვის უფასოდ გადასაცემად 1920 წლის 4 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „მიწის სპეციალური ორგანოების შესახებ".[20] ამ კანონის პირველი მუხლი ადგენდა: „მიწის საკითხის სასწრაფოდ გადასაჭრელად სომხეთის მასშტაბით იქმნება სპეციალური მიწის ორგანოები"; მეორე მუხლი ამ ორგანოებს ავალებდა, გამგზავრებულიყვნენ ქვეყნის ყველა რაიონში და უმოკლეს ვადაში ადგილებზე მოეხდინათ თავადაზნაურობის, საეკლესიო და მიტოვებული მიწების ნაციონალიზაცია, ნაციონალიზებული მიწები გაენაწილებინათ გლეხებისთვის, გამოეყოთ მიწები ახალმოსახლეთათვის, გადაეჭრათ სოფლის შიგნით და სოფლებს შორის მიწასთან დაკავშირებით არსებული დავები.

ამ კანონების ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდა მრავალი ათასი უმიწაწყლო გლეხისა და გაჭირვებული ლტოლვილის გადარჩენა, ანუ მათი ზეცით ბოძებული უფლებით – სიცოცხლის უფლებით – უზრუნველყოფა.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პირველი რესპუბლიკის მთავრობა სხვა ღონისძიებებსაც მიმართავდა, კერძოდ: აგვარებდა ირიგაციის პრობლემებს ახალი აგროტექნიკური საშუალებების დანერგვის, სოფლად გზების მშენებლობის, სათესლე მარცვლეულით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხებს. მაგალითად, 1919 წლის 29 მარტს მიღებულ იქნა კანონი სათესლე მარცვლეულის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესყიდვისა და საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ, მოსახლეობაზე უპროცენტო სესხების გაცემის მიზნით.[21]

ამ კანონის პირველი მუხლი ადგენდა: კვების პროდუქტების სამინისტროს გამოეყოს 50 მილიონი მანეთი სათესლე მარცვლეულისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად და სათესად სესხების გასაცემად. კანონის მესამე მუხლი მინისტრთა საბჭოს უფლებას აძლევდა, გამოექვეყნებინა მოსახლეობაზე სათესლე მარცვლეულის შესაძენად უპროცენტო სესხის გაცემის წესები. 1919 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა კიდევ ერთი კანონი „მოსახლეობის სათესლე მარცვლეულითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფის და ამ მიზნით 30 მილიონი მანეთის ოდენობის საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ".[22]

მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რა თქმა უნდა, განხილულ პერიოდში სომხეთში არ იყო მსხვილი ქალაქები, ძირითადად იყო დასახლებები, რომლის მოსახლეობის ნაწილს მუშები და ხელოსნები შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენი სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული.

ქალაქის მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, აღსანიშნავია 1920 წლის 5 ივლისის კანონი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოებისა და

[19] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 8 (სომხურ ენაზე).
[20] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 166, ფურცელი 71 (სომხურ ენაზე).
[21] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 28 (სომხურ ენაზე).
[22] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 221, ფურცელი 138 (სომხურ ენაზე).

დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის პროდუქტების მოძიების სამმართველოს შექმნის შესახებ.[23] ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის პროდუქტების მოძიება და მისაღებ ფასებში მიყიდვა მომარაგების სამმართველოს ევალებოდა, რომელიც მუშათა კოლექტივს უნდა აერჩია; მეხუთე მუხლი ითვალისწინებდა მომარაგების სამმართველოში შიდა კონტროლის განყოფილების შექმნას მთავარი კონტროლიორის ხელმძღვანელობით, რომელიც უშუალოდ გააკონტროლებდა სამმართველოს საქმიანობას.

ქალაქებში თანდათანობით ცოცხლდებოდა ვაჭრობა, იხსნებოდა მცირე და საშუალო ზომის სახელოსნოები, ერევანში ფუნქციონირებდა ღვინისა და კონიაკის ქარხნები, ტყავის ფაბრიკა, მაგრამ მსხვილი ქარხნებისა და ფაბრიკების გასახსნელად რესპუბლიკას სახსრები არ ჰყოფნიდა. სომხეთის ბუნებრივი სიმდიდრეების გათვალისწინებით შემუშავდა სამთამადნო მრეწველობის განვითარების შესანიშნავი პროგრამები, თუმცა მათი განხორციელება მხოლოდ შემდეგ ათწლეულებში გახდა შესაძლებელი.

სომხეთის საკანონმდებლო ხელისუფლებამ კიდევ რამდენიმე კანონი მიიღო მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის სფეროში. მაგალითად, 1918 წლის 5 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში მომსახურე სამოქალაქო პირებზე ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე“,[24] 1919 წლის 6 ივნისს – კანონი „დაინვალიდებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის პენსიის 50-პროცენტიანი გაზრდის თაობაზე“,[25] 1919 წლის 16 ოქტომბერს – კანონი „რაიონების სკოლების ინსპექტორებისთვის ხელფასის მომატების თაობაზე“,[26] 1919 წლის 21 ოქტომბერს – კანონი „განათლებისა და ხელოვნების სამინისტროს თანამშრომლებისთვის ხუთწლიანი დანამატის შესახებ“,[27] 1919 წლის 3 ივლისს – კანონი „ბინებისა და სხვა ნაგებობების მაქსიმალური ფასების შესახებ“,[28] 1919 წლის 9 სექტემბერს – კანონი „სომხეთის დედაქალაქში ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსების თაობაზე“,[29] 1919 წლის 4 აპრილს – კანონი „სომხეთში პატიმრებისთვის სასურსათო ულუფის გაზრდის შესახებ“,[30] და კიდევ – მთელი რიგი კანონებისა.

თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან სახელმწიფო ზოგადი განათლების ორგანიზებას შეუდგა. სწავლა სკოლებში უფასო იყო და ხორციელდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. იმავდროულად, „სკოლების მართვის შესახებ“ 1918 წლის 11 სექტემბერს მიღებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, რესპუბლიკაში განათლება სახელმწიფოს მონოპოლია არ იყო – ნებისმიერ საზოგადოებრივ ან სათემო ორგანიზაციას, ჯგუფს ან გაერთიანებას, ისევე როგორც კერძო პირებს, უფლება ჰქონდათ, გაეხსნათ სკოლა და შეენახათ იგი საკუთარი სახსრებით.[31]

---

[23] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 168, ფურცელი 8 (სომხურ ენაზე).
[24] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 11-12 (სომხურ ენაზე).
[25] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 61, ფურცელი 43 (სომხურ ენაზე).
[26] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 61 (სომხურ ენაზე).
[27] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 67 (სომხურ ენაზე).
[28] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 33, ფურცელი 154-158 (სომხურ ენაზე).
[29] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 24 (სომხურ ენაზე).
[30] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 30 (სომხურ ენაზე).
[31] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 4 (სომხურ ენაზე).

თუმცა, ამ დებულების მიუხედავად, სასკოლო საქმიანობის ორგანიზაციასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, პრაქტიკულად, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო სახსრების მეშვეობით წყდებოდა. სახელმწიფო ცდილობდა უზრუნველეყო თავისი მოქალაქეების უფლება განათლებაზე, ზრუნავდა მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის. 1920 წლის 5 იანვარს მიღებულ იქნა კანონი „წერა-კითხვის და მართლწერის კურსებისა და სახალხო უნივერსიტეტების შესახებ".[32] ამ კანონის პირველი მუხლი ადგენდა:

„სახალხო განათლების მხარდასაჭერად იქმნება:

ა) წერა-კითხვის კურსები წერა-კითხვის უცოდინართათვის;

ბ) მართლწერის კურსები ადამიანებისთვის, რომლებმაც ცუდად იციან წერა-კითხვა;

გ) სახალხო უნივერსიტეტები წერა-კითხვის მცოდნე მოზრდილთათვის".

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კურსები და სახალხო უნივერსიტეტები უფასო იყო, ხოლო მე-7 მუხლი ადგენდა, რომ მათზე შეუფერხებელი დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ მსურველს სქესის, აღმსარებლობისა და ეროვნების ნიადაგზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მოქალაქეთა განათლების უფლების დაცვის აშკარა დასტურია 1918 წლის 29 ოქტომბერს მიღებული კანონი „საშუალო სკოლის მოსწავლეების სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ".[33] ამ კანონის პირველი მუხლი ადგენდა, რომ სომხეთის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვეულ საშუალო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, დროებით განთავისუფლდნენ სამხედრო სამსახურისგან, საშუალო განათლების დასრულებამდე. 1919 წლის 21 ოქტომბერს მიღებული კიდევ ერთი კანონით სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლდებოდნენ სკოლის მასწავლებლები, ინსპექტორები და ზედამხედველები.[34]

განათლების საქმის მხარდაჭერას და მოსახლეობის ღარიბი ფენების განათლების უფლების დაცვას ისახავდა მიზნად 1920 წლის 20 იანვარს მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც: „ყველა ის გაჭირვებული მოსწავლე, რომელთა მშობლები სომხეთის თავისუფლებასა და დაცვას და სომხური ერის თავდაცვას შეეწირა, უზრუნველყოფილი იქნება უფასო სასკოლო ნივთებით სახელმწიფოს ხარჯზე".[35] 1919 წლის ბოლოსთვის სომხეთში 431 დაწყებითი სკოლა იყო, 1096 მასწავლებლით და 38 015 მოსწავლით და 20 საშუალო სკოლა – 288 მასწავლებლით და 5 162 მოსწავლით.[36]

შესაძლებლობის ფარგლებში ინტელიგენციისადმი მხარდაჭერით სახელმწიფო ცდილობდა, აგრეთვე, უზრუნველეყო მეცნიერებისა და კულტურის განვითარება. სწორედ ამას ემსახურებოდა 1919 წლის 7 ივლისს მიღებული კანონი „სომეხი მწერლების, მეცნიერებისა და პუბლიცისტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ასი ათასი მანეთის გამოყოფის თაობაზე".[37]

---

[32] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 490, ფურცელი 5 (სომხურ ენაზე).

[33] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 10-11 (სომხურ ენაზე).

[34] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 77 (სომხურ ენაზე).

[35] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 490, ფურცელი 4 (სომხურ ენაზე).

[36] *ვრაციანი*, სომხეთის რესპუბლიკა, ერევანი, 1993, 375 (სომხურ ენაზე).

[37] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 57, ფურცელი 132 (სომხურ ენაზე).

განათლებაზე მოქალაქეების უფლებისა და რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1919 წლის 16 მარტს მიღებულ კანონს „სომხეთში უნივერსიტეტის შექმნის შესახებ“.[38] ამ კანონის თანახმად, ერევანში იგეგმებოდა უნივერსიტეტის დაარსება ოთხი განყოფილებით – ისტორიულ-ლინგვისტური, ეკონომიკურ-იურიდიული, სამედიცინო და ფიზიკა-მათემატიკის. უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯების დასაფარავად იხსნებოდა საკრედიტო ხაზი სამასი ათასი მანეთის ოდენობით.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სომხური ენის როლის ზრდის საკითხი. 1919 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.[39] იგი ადგენდა, რომ სომხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ცხადდებოდა სომხური ენა, არმიასა და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში სავალდებულო გამოყენებით. კანონის მე-2 მუხლი ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებას ავალდებულებდა, ექვსი თვის განმავლობაში საქმის წარმოება მთლიანად ქვეყნის ოფიციალურ ენაზე გადაეყვანათ.

სახელმწიფო მიზანმიმართულად მუშაობდა ჯანდაცვის ორგანიზების მიმართულებითაც. ამ პრობლემის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის იყო, რომ ქვეყანაში მძვინვარებდა ტიფისა და ქოლერის ეპიდემიები, შესაბამისად, ეს საკითხი უშუალოდ იყო დაკავშირებული ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. პირველი რესპუბლიკის რიგით მესამე კანონი, რომელიც 1918 წლის 21 აგვისტოს იქნა მიღებული, ეხებოდა ქოლერასთან ბრძოლას.[40] „სომხეთის მთელი ტერიტორია გამოცხადდეს ქოლერის საფრთხის ზონად“, – ნათქვამი იყო კანონის პირველ მუხლში.

1919 წლის 3 აპრილს მიღებულ იქნა ახალი კანონი „ქოლერასთან ბრძოლის შესახებ“ – ამ მიზნით იხსნებოდა საკრედიტო ხაზი 3 მილიონი მანეთის ოდენობით.[41] სახელმწიფო იღებდა ზომებს ეპიდემიისგან დაზარალებული სამედიცინო პერსონალისთვის, ხოლო მათი სიკვდილის შემთხვევაში – მათი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით. 1919 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „იმ ექიმების, ფელდშერების, მოწყალების დებისა და სანიტრების ოჯახებისთვის დახმარების დანიშვნის თაობაზე, რომლებიც მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას გადამდები დაავადებით დაიხოცნენ“.[42] კანონის თანახმად, აღნიშნული პირების ოჯახები სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ ერთჯერად დახმარებას 5 ათასი მანეთის ოდენობით. იმავე წლის 11 აპრილს მიღებულ იქნა კიდევ ერთი კანონი – ეპიდემიის შედეგად დაავადებულ ან გარდაცვლილ სახელმწიფო მოსამსახურეებზე დახმარების გაცემის თაობაზე.[43] ავადმყოფობის შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინიდან გაიცემოდა ერთჯერადი დახმარება 750 მანეთის ოდენობით, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში – 1 000 მანეთის ოდენობით.

---

[38] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 57, ფურცელი 35 (სომხურ ენაზე).

[39] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 83 (სომხურ ენაზე).

[40] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 2 (სომხურ ენაზე).

[41] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 29 (სომხურ ენაზე).

[42] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 1174, ფურცელი 38 (სომხურ ენაზე).

[43] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 200, აღწერა 1, საქმე 86, ფურცელი 31 (სომხურ ენაზე).

1920 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „იმ სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის – სამოქალაქო და სამხედრო პირებისთვის დახმარების დანიშვნის შესახებ, რომლებიც ეპიდემიის დროს დაავადდნენ ან დაიღუპნენ გადამდები დაავადებებისგან“.[44] აღნიშნული კანონი ითვალისწინებდა საკმაოდ დიდი ოდენობის დახმარების გაცემას ეპიდემიის დროს დაავადებულ ან გარდაცვლილ ექიმებზე, საშუალო სამედიცინო პერსონალზე, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაავადებულ ან გარდაცვლილ სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებზე. კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დახმარებების გასაცემად უზრუნველ-ყოფის სამინისტროს გამოეყოფოდა 5 მილიონი მანეთი.

ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული ეს საკანონმდებლო ნაბიჯები, ისევე როგორც სხვა პრაქტიკული ზომები, უდავოდ, შედეგიანი იყო პირველი რესპუბლიკის უმძიმეს პირობებში, თუმცა ეპიდემიის მრავალი მსხვერპლის დახმარება მაინც ვერ მოხერხდა.

ამასთან დაკავშირებით, სომხეთის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ხატისიანი წერდა: „ტიფის ეპიდემიას ასობით სიცოცხლე ეწირებოდა. დილაობით ერევნის ქუჩებში ათობით, შემდეგ კი ასობით გვამს პოულობდნენ. ხანდახან ამ გვამების შეგროვებაც კი ვერ ესწრებოდა...“ ტიფით დაავადდნენ და გარდაიცვალნენ შინაგან საქმეთა მინისტრი არამ მანუკიანი, სომხეთის მთავარი ინსპექტორი მედიცინის დარგში, ექიმი ანდრეასიანი. ა.ხატისიანის ცნობით, 1918 წლის შემოდგომასა და 1919 წლის ზამთარში სომხეთში შიმშილისა და ტიფისაგან დაახლოებით 150 ათასი ადამიანი გარდაიცვალა.[45]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება, უდავოდ, შეუძლებელს აკეთებდა; გადაიდგა რიგი ნაბიჯებისა ადამიანის უფლებების გარანტირებისა და დაცვის მიზნით სოციალურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ, ჯანდაცვის სფეროებში. ამ მიმართულებით მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატებები, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგები სასურველისგან შორს იყო, რაზეც პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენლებიც საუბრობენ.

---

[44] სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 199, აღწერა 1, საქმე 155, ფურცელი 97 (სომხურ ენაზე).

[45] *ხატისიანი*, სომხეთის რესპუბლიკის წარმოშობა და განვითარება, II გამოცემა, ბეირუთი, 1968 (სომხურ ენაზე).